და აი ეს ჩვენგან მოძულებულ მიწები გადადის სომხების და რუსების ხელში. უვარდებათ ფულიანებს, და ეს თითქო უვარგისი მიწები ხდება მეტად შემოსავლიანი და სახეირო, ყოველივე ეს ხდება უმეცრებით და მეტადრე ჩვენი უფულობით, სამელიორაციო ბანკს უქონლობით.

ვიმეორებ ჩვენს საერობო ბანკს უნდა ჰქონდეს ორი უმთავრესი მიზანი: 1. უმიწობით შევიწროვებული ქართველი გლეხების დასახლება საქართველოს განაპირა ადგილებში და მით საზღვრების შემაგრება, 2. ჩვენი დაცემული მეურნეობის აღდგენა იაფი სამეურნეო (სამელიორაციო) სესხით. ეს საერობო ბანკი უნდა დაარსდეს იმ ფულიდან, რომელიც ეძლევათ დღეს ჩვენს მემამულეებს ნადელების გამოსასყიდათ.

[illegible] წოდებამ 40 წლის წინათ შექმნა ერთი დიდი საქმე: მან დააარსა საადგილ-მამულო ბანკები, რამაც წარმოიშვა ქართული გიმნაზიების დაარსება, ამას კი აქვს დიდი და ფრიად დიდი კულტურული მნიშვნელობა. დღეს იმ სახელოვან წინაპართა შვილებმა უნდა შეასრულონ კიდევ ბევრათ უფრო დიდი საქმე. შეგნება და სამშობლოს სიყვარული მათ აიძულებს დაეხმარონ მრავალტანჯულ საქართველოს ამ საშინელ ხიფათის დროს და იმ რვა მილიონიდან უნდა დასდვან თუ ნახევარი არა მეოთხედი [illegible] საშვილიშვილო საქმის, დიდებული [illegible] საერო ბანკის დასაარსებლათ. ამრიგათ [illegible] შეანარჩუნებენ ტერიტორიას [illegible], საოცრათ წასწევენ [illegible] [illegible] და ნივთიერ მდგომარეობას. ამ დიდი საქმით ჩვენი თავად-აზნაურნი დაიდგამენ სამარადისო ძეგლს და უკვდავ ყოფენ თავის სახელს ქართველი ერის ისტორიაში.

სიმონ ქვარიანი.

8/XII-912 წ.

არ მინდა, არა!..

ფიქრები ახალწლის გამო.

ჩემი ცხოვრება საწამლავით სავსეა, შხამით...
გული მიკვნესის დღის სინათლით, მიკვნესის ღამით...
სულს არ ეღირსა მოსვენება, მოლხენა წამით...
გრძნობა-გონება სიხარულით ჯერ არ გამთფარა—
და ეგ სიცოცხლე მოწამლული—არ მინდა, არა!..

**

არც სიკვდილს ვეტრფი... მაინც კიდევ სიცოცხლე მინდა,
რომ მოძმეთ ვამცნო აზრი წრფელი და გრძნობა წმინდა...
თუმც დღემდი მხოლოდ ნაღველს ვსვამდი, ცრემლები მდინდა,—
მაგრამ წადილი გულის კიდევ ჯერ არ მომკვდარა—
და ბრძოლის ველის მოშორება არ მინდა, არა!..

**

გზას ნარ-ეკლიანს ვკაფავ, ვიდრე მიტოკავს გული!
მინდა—იქ იყოს ვარდ-ზამბახი და ალვა რგული—
და ერთხელ მაინც დასტკბეს შვებით ტანჯული სული...
სანამ ეს ნატვრა ნატვრათ რჩება და არ ამხდარა,—
ფარხმალს არ დავყრი, მოსვენება არ მინდა, არა!..

**

მაგრამ ვერ იშვებს სული ჩემი, ვერ გაიხარებს,
როცა გარშემო, ვხედავ, მოძმეთ სევდა ამწარებს...
მზე ვერ იმზევებს, მოღუშული დღე ვერ იდარებს,
შავმა ღრუბლებმა კიდის-კიდით თუ ცა დაფარა...
მარტოხლათ შვება, სიხარული არ მინდა, არა!..

**

მაშ, დე, მოზღვავდეს შეჩვეული სევდის ჯარები!
ვიცი, რაც არის ჯოჯოხეთი გამამწარები:—
მოწმეა გული დახრაკული, ჭმუნვის ღარები...
ვებრძვი, სულ ვებრძვი ბოროტებას, წინ რო დამდგარა...
სამოთხეს ვეტრფი, ჯოჯოხეთი არ მინდა, არა!..

**

წლის დასაწყისი, შუა წელი, თუნდ დასასრული—
ჩემთვის ერთია, სანამ გული არის ჩაგრული,
სანამ ცხოვრების ნათელს ფარავს წყვდიადი სრული...
ვიბრძოლებ, ვიდრე ბოროტება ტახტზე დამჯდარა:—
მასთან ცხოვრება, მასთან ყოფნა არ მინდა, არა!..

სილოვანი.

ქუთაისი, 1912 წლის 30 დეკემბერს.

ახალი პლანი.

(საახალწლო).

ახალი პლანი შევიმუშავე:
ცხოვრების პლანი, დროს შესაწონი:—
დუხჭირი ბედის საკითხი მწვავე
აწ ველარაფერს დამაკლებს მგონი!..

—

ძველი ჩავწერე—ხავსმოდებული,
მივუგდე იგი ბუნების ტრიალს:—
თვით კი, იმედით აღფრთოვანებული,
კვლავ ვიწყებ ახალ ბილიკზე სრიალს!..

—

მსურს შევეჭიდო ბედ-უკუღმართ დროს,—
რომ ალთქმის მხარეს დავუახლოვდე,
ვეტკბო ცხოვრებას, ცხოვრებაც მეტკბოს,—
რომ არ ვსტიროდე და არცა ვგლოვდე!..

ლადო გეგეჭკორი.

[illegible]ოი ამბავი.

[illegible] თაისის ქალაქის [illegible] ივერსიტეტის [illegible] ჯავახიშვი[illegible] ლექციის შემ[illegible] „ქალაქის თვითმართველო[illegible] [illegible]ქის ცხოვრება საქართველოში [illegible] და VIII საუკუნეებში". [illegible] ლექციის თემა იმდენათ საინტერესოა, [illegible] სრული იმედი გვაქვს, ქუთაისის საზოგადოება გაავსებს თეატრის დარბაზს და მოისმენს ჩვენი წარსულის მკვლევარის [illegible] ჯავახიშვილის ლექციას.

✦ აკაკის თხზულების კონფისკაცია. ქუთაისელმა მესტამბემ ივ. კილაძემ 28 დეკემბერს თბილისის საცენზურო კომიტეტს, საცენზურო კანონის თანახმათ, გაუგზავნა მისს სტამბაში დაბეჭდილი აკაკის ნაწერების მეორე წიგნის 15 ცალი—[illegible] ნების დასართველად. [illegible] კომიტეტს მეორე დღეს მიუ[illegible]ა და იმ წამსვე დეპეშით უცნობებია ქუთაისის ადმინისტრაციისათვის წიგნების დაკავება. პოლიციის ბოქაული იმ დღესვე მივიდა კილაძის სტამბაში და წიგნები მოითხოვა; უპასუხეს—წიგნები მეყდესთან არისო; ბოქაული დაუყონებლათ მეყდესთან მიიჭრა და იმ წამსვე, ჯერ კიდევ შეუკინძავი ფურცლები, ყუთებში ჩაალაგებია და პოლიციაში წაალებია. ამნაირათ გამოცემის ხელმძღვანელსა და გამომცემელს იმედი გაუცრუვდათ დღეისათვის წიგნის დარიგებისა ხელისმომწერთათვის და მისი გასაყიდათ გამოტანისაც. დღევანდელი განკარგულების საბოლოო შედეგს და ამ გამოცემის თავგადასავალს გამომცემელი თავის დროზე აცნობებს საზოგადოებას. საგულისხმოა ეს შედეგი მით უფრო, რომ მგოსნის ნაწერების გამოცემას ყველა სიხარულით ელოდება.

✦ სრულიად რუსეთის საადგილ-მამულო ბანკებში ფინანსთა სამინისტროს რწმუნებულთა კრება პეტერბურგში დასრულდა და ქუთ. ბანკში სამინისტროს რწმუნებული ბ. სობჩიევსკი უკვე დაბრუნდა. როგორც ამბობენ, სამინისტროში კითხვა აღძრულა, რომ საადგილ-მამულო ბანკებისაგან თავის ვალდებულებათა მოსპობა ფასიან ქაღალდების პირდაპირ ბირჟაზე ყიდვით შეიცვალოს ნამდვილი ტირაჟით, რაც კურსის აწევაზე გავლენას იქონიებსო. თუ ეს პროექტი დაკანონდა, მაშინ ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის ყოველწლიური მოგებას მოაკლდება არა ნაკლებ 40 ათასი მანეთისა.

✦ ჟურნალ-გაზეთების კანტორა ,,იმერეთი''-ს გამგე უკანასკნელათ მოაგონებს ილია ჭავჭავაძის თხზულებაზე ძველსა და ახალ ხელისმომწერლებს, რომ დღეს 1 იანვარს თავდება ხელის მოწერის ვადა ამ გამოცემაზე და [illegible] ხვედრი ფული უნდა შემოიტანონ, თორემ დაკარგავენ უფლებას წიგნის მიღებისას.

✦ ბ. მიხ. მაქს.-ძე ჩხეიძე გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ მან დაკარგა თავის სამუდამო პასპორტი. მპოვნელს სთხოვს შეიტანოს იგი ქუთ. პოლიც. რომელსამე უბანში.

[illegible]ულებას ვერ იპოვის, როგორც იმას, რომელიც ჩვენი ქვეყნის სამეურნეო ტეხნიკას და საერთოდ სამეურნეო კულტურის აღორძინებას ემსახურება. ჩვენ [illegible] გვაქვს აგრეწოდებული სამელიორაციო კრედიტის გაჩენა, რომელშიც [illegible] ქვეყანა დიდათ საჭიროებს. ისეთ ქვეყანაში, როგორიც არის საქართველო, რომელიც უდღესათ სამიწათმოქმედო და ამასთანავე ვაჭრობა-მრეწველობის მხრით თითქმის პირველყოფილ [illegible]ზეა, ასეთი კრედიტი ერთ მძლავრ ფაქტორთაგანია ეკონომიური გავითარე[illegible], ჩვენში, სადაც კერძო თაოსნობა და კერძო კაპიტალები ერთობ სუსტებს, სადაც ამასთანავე მიწათმფლობელთა კლასი ბევრნაირ პატიოსან შრომას ერიდება, როგორც რაიმე სა[illegible]ცხვინო საქმეს. სამეურნეო კულტურა ვერ გაუმჯობესდება, თუ იგი კულტურა განსაკუთრებულ, ხელისშემწყობ პირობებში არ ჩავაყენეთ. სამელიორაციო კრედიტის კარგი მხარეც სწორეთ ის არის, რომ იგი სესხია გაუმჯობესებისათვის, რომ იგი მსესხებელს ვალდებულებს [illegible] ეს თუ ის სამეურნეო გაუმჯობესება შეიტანოს მამულში. განსხვავება ჰიპოთეკურ (საადგილ-მამულო) და ამ კრედიტს შორის ის არის, რომ საადგილ-მამულო ბანკიდან აღებული სესხი შეიძლება ნიავ-ქარს გაატანო, ერთ დღეს გაფლანგო უნაყოფოთ, მაშინ როდესაც სამელიორაციო ბანკიდან აღებული სესხი ამ ბანკის კონტროლის ქვეშ იხარჯება და რაიმე მელიორაციას ხმარდება. გინდა არ გინდა, აქ ნაყოფიერი გამოყენება სესხისა ის აუცილებელი პირობაა, რომლითაც შენ ბანკს ეკვრი. ბანკის გარანტიაც სესხის გაცემის დროს სწორეთ ამ ნაყოფიერათ მოხმარებაშია. სხვა რამ საწინდარს იგი არ თხოულობს.

აქ ამ პატარა წერილში მეტს აღარას ვიტყვით ამ საკითხის შესახებ, მით უფრო, რომ მას ერთხელ ამ თუთხმეტიოდე წლის წინათ უფრო ვრცლათ შევეხეთ. საჭიროება სამელიორაციო ბანკის დაარსებისა მაშინაც დიდი იყო და ახლაც დიდია. განსხვავება ის არის, რომ მომენტი ამ საქმის განხორციელებისათვის დღეს უფრო მარჯვეა და შეგნებაც მეტია. აი, სწორეთ ეს გარემოება გვაძლევს ნებას ვიქონიოთ იმედი, რომ მზგავსათ წარსულისა, დღესაც გამოჩნდებიან თავად-აზნაურთა წრეში ქვეყნის მოამაგენი, ერის შეგნებული ჭირისუფალნი, რომელნიც თავს იდებენ და ამ საშვილიშვილო საქმეს ბოლომდი გაუძღვებიან. ნუ დაგვავიწყდება, რომ ის წვლილი, რომელსაც ამ საქმისათვის გაიღებს თავადი თუ აზნაური, არც თუ სხვერპლია მისი მხრით, არც თუ შეწირულებაა ანუ წყალობა, იგი სესხია ქვეყნის საკეთილდღეოთ გაღებული რომელიც მალვე უბრუნდება, როგორც მფლობელს მიწისას, მეურნეს, ხოლო სხვა სახით და სხვა რაოდენობით.

გრ. გველესიანი.

სადღეისო.

სადღეისოთ კვლავ მოვმართე
გუდა-სტვირი ძველებური,
რომ შევამკო, ვინც ღირსია,
არვინ დამრჩეს მონამდური;
ვისაც როგორ ეპრიანოს,
მიიღოს და უგდოს ყური,
რომ არავის დაეკარგოს
ნაღვაწი და ნამსახური!..

საახალწლო ტკბილეული
სულ ჩვევია ჩვენს ქვეყანას,
ჩამოლოცვით რომ მთვლიან
საამდღეო ანა-ბანას;
რაც მრავალჯერ არ გსმენიათ,
მეც რას გეტყვით აწ მისთანას?
მაინც გიძღვნით სათითაოდ
ანდაზას და გამოცანას.

* * *

ნათქვამია: „ჩვეულება
სჯულის უმტკიცესიაო",—
გეგეჭკორმაც შეასრულა,
რაც იმათი წესიაო!
რასაც ამ მხრით „კარგს" ჩაიდენს,
უფრო უკეთესიაო:
აკი დღესაც ის მოიმკო,
რაც თვით დაუთესიაო!..

* * *

ველიკოროს-შოვინისტურ
კუჭ-მეისტერ—საქმე-ხრიკა,
არჩევნების დრო რომ დადგა,
მიიღრიკა, მიიღრიკა!
„ლოზუნგები" გადმოგვტყორცნა
დაკრა „ძველს" და წიხლი სდრიკა;
მაგრამ ბოლოს „ახალსაც" კი
გააწნა და ყბაში სტიკა!..

* * *

კარგათ იცნობს არშაკას და
სოლოლაკელ „პროლეტარებს",
ამ „დევნილ" და „ტანჯულ" ხალხსა,
თუ რა დარდი ამწუხარებს;
მათ დაუთმობს ჩვენი ქვეყნის
უმისოთაც ღია კარებს,
ოღონდ დასძვრეს გამარჯვებით
საარჩევნო ნიავ-ქარებს!..

* * *

ეს რა ჩიტი მოფრენილა,
საიდან და სადაური?
ვიცნობთ, ვიცნობთ მაგ ღვთის ჩიტსა,-
ემანკოა უბედური!..
„ქნის ფურცლებს" მოგვაგონებს
უსუსური, უდღეური:
ჩხენკელის და კარლოს „რეჩებს"
ვინ დაუგდოს, აბა, ყური!..

* * *

ჩვენი ხალხი რომ მიაჩნდა
ბანკებივით საწველ ფურათ,
არც თფილისი დაგვიტოვა,
არც კულაში მონამდურათ,—
„ვინ ხარ შენო?" მიაძახეს,
თავი მოგაქვს ბედაურათ?!.
იფრინეს და გამოცხადდა
ის აკაკის მელამურათ!..

* * *

ორშაბათის საზანდარი...
არვინ არის მისი დარი!
შუბლ-მაგარი, „მაღლა მდგარი",
„აკაკისთვის „ჩამომდნარი",
არ აწუხებს პარტიული
არცა ზნე და არცა „ქარი"
ესდეკების „ჯორათ" ქმნილი
და თავისთვის ნაოხარი!..

* * *

„რაჭ მიჭქარამ? რაებს ჰუბნობ?
თუ ვგრძნობ ძალთა ჩემთა ჰხლებას,
მე დაჭგიწერ ქაჭრთულისა
სინტაჭქსებრივ შეჭმოკლებას!..
გავაჭშვენებ რუჭთვლის ჰენას,—
ვიქმ მის თავჭზე შეჭმოვლებას,
და მოჭმავალ ახალ წელშიჭც
გავანათებ „გაჭნათლებას"...

* * *

განა არის სადმე კიდევ
პესტალოცთა ჩვენსა სწორი?
სამება ერთად თხზული,
სამი პირი, განა ორი?!
სამშობლო და დედა-ენა
თურმე არის ჭორთა-ჭორი!
ყველაფერი აბრუნდზეა,
თუ გვიბძანებს დირექტორი!..

* * *

ვფიცავ თქვენს მზეს, თქვენსავ მთვარეს,—
თქვენი ვერა გავიგე რა!—
ცოდვილ მიწას აცთენიხართ,
ვარსკვლავებზე გიყვართ წერა,
თუმც როგორღაც თქვენი ყოფნა
მაღლა ცაში—არა მჯერა;
მაგრამ, ვსთქვათ, რომ ასეც იყოს,
მერე თქვენ რა? ანუ მე რა?!.

* * *

დღეს რომ მთელი საქართველო
გადაიქცა გუდა-სტვირათ,
გონორარს და მარკის ფულსა
იქით იხდით ფოშტის ქირათ!
ნაგვის გოდრებს რომ ვყიდულობთ,
დღეს გვიჯდება ცოტა ძვირათ...
„ოდეს ტურფა გაიაფდეს,
აღარა ღირს არცა ჩირათ"!..
სადღეისოთ ვერ ჩამოვთვლი
ყველას აქვე ჩასათვალსა:
ამეებს რო მივყვე-მოვყვე—
ვერ აუვალ ნაათალსა!..
„ყველა ხომ თავისას ჩივის,
მენახირეც—ბუზანკალსა!..
ვეცდები და მომავალში
გადავიხდი იმათ ვალსა!..

პატივისცემით.

საახალწლო ზღაპარი.

ქრისტეშობისთვის უკანასკნელი ცივი სუსხიანი ღამეა. თეთრად შემოსილი უზარ–მაზარი მთის წვერვალები თავის თავის სიდიადით შიშსა გვრის კაცს. შავ-ბნელ ზამთარიან ღამეში ის უფრო მეტათ ირკვევა და კაცი მის წინაშე რაღაც საბრალო, უძლურ არსებათ გრძნობს თავს, მთიდან შხუილ-ხმუილით მჩქეფარე მდინარე ყინვას მთლად დაუდუმებია. უშველებელი ხის ტოტები თოვლით ჩამოძონძილა. გარშემო იდუმალი მყუდროებაა. ამ საშინელ ღამეში მოდის ჭაბუკი. იგი არ უდრეკის ბუნების ძლიერებას, არც სხვა დაბრკოლებას, მედგრათ იკვლევს გზას, რათა შუა ღამემდი ბარს მიაწიოს. მოშორებით მან სინათლე, შეამჩნია რომელიც ჩამოქცეული ქოხიდან გამოჭყუტავდა. ჭაბუკმა მიაშურა მას, რომ ცოტათი მაინც გაეთბო გაყინული სხეული. ხმაზე მოხუცმა გამოხედა და შეიპატიჟა ქოხში. ძალზე მოხუცებული ბამბასავით თეთრი წვერებით მოხუცი ყავარჯენს დაბჯენოდა და ძლივს იმაგრებდა თავს.

— [illegible] მოდი, შვილო,—[illegible] მან ჭაბუკს.—საიდან მოდიხარ ამ საოცარ ღამეში?

— მიმიღე ბაბუ, ცოტათი, შევთბე, შორი გზა მაქვს გასავლელი—სთქვა ჭაბუკმა, რა შევიდა ქოხში.

ძლიერმა, ლამაზმა, მხნე ჭაბუკმა სიცოცხლე შემოიტანა მივიწყებულ მიქონქილ ქოხში. თითქო კედლებმაც კი გაიცინესო.. მის დანახვაზე მოხუცს მოაგონდა თავისი ახალგაზდობა, მძიმეთ ამოიხვნეშა და მიუჩოჩდა შუა ცეცხლს. უძლური ხელებით უნდოდა მოებრუნებია მიმქრალი ცეცხლი, ჩაბერა უძლური სული, მაგრამ ცეცხლს მაინც არ [illegible]დებოდა.

— ბაბუ, შენ დაწექი მე გაგი[illegible] ისეთ ცეცხლს, რომელიც, კარგი ხანია, აღარ გქონია.

მოხუცმა მორჩილათ დაუთმო ადგილი და წაბარბაცდა საწოლისაკენ. ჭაბუკმა მართლაც დიდებული ცეცხლი გააჩაღა... განათდა, გამხიარულდა მოხუცის ბინა.

— რა კარგია სიყმაწვილე,—დაღონებით სთქვა მოხუცმა. ოდესღაც მეც შენებრ ახალგაზდა ვიყავი, არა თუ ცეცხლი გამეჩაღებია, მთის წვერვალებს ვევლებოდი, აი, იმ უშველებელ თეთრად შემოსილ წვერვალებს,—გარეთკენ გაიშვირა ხელი მოხუცმა, ეს გმირობა მაშინ არაფრათ მიმაჩნდა, ახლა კი... ჰე,—ჩაიქნია უკმაყოფილოთ ხელი—ახლა მხოლოდ სიკვდილს მოველი...

შვილო,—შეეკითხა მცირე სიჩუმეს შემდეგ მოხუცი ჭაბუკს—ერთი მითხარი ვინახარ? საიდან მოდიხარ, ან სით მიეშურები ამ საშინელ ღამეში, რა გაგაჭირვებია?

— ბარში, ბაბუ,—მიუგო ჭაბუკმა—იქ მიმელიან. შუა ღამისას იქ უნდა ვიქნე.

— ბარში!—გაიოცა მოხუცმა—მიგელიან! მაშ შენ გხვდა ეგ მწარე ხვედრი წილათ! არ შეგნატრი, შვილო, მძიმეა შენი მოვალეობა!.....

—

ბარში ჩვეულება იყო—ყოველი წლის დამდეგს მთიდან მოელოდენ სტუმარს ყოველ ღირსებასთან ერთად იგი დაჯილდოვებული იყო იმით, რომ იცოდა ცხოვრების საიდუმლოება და ღვთისაგან ბედნიერების გასაღები ჰქონდა ჩაბარებული. ამიტომ ბარში მას ყველა სიხარულით მოელოდა დიდი, პატარა, მდიდარი ღარიბი, ძლიერი, უძლური, ბედნიერი და უბედური, გაურჩევლად ყველა—მისგან ელოდა ახალ ბედს, ახალ ცხოვრებას რაღაც სასწაულს. მთაში მცხოვრები ჭაბუკი ბარელთა რწმენით იყო ზეცასთან დაახლოვებული ღვთისაგან არჩეული, მისგან მოწოდებული ბარათ ბედნიერების დასათესად. და, რა თქმა უნდა, ასეთ სტუმარს დიდი ამბით ელოდენ. ჭაბუკიც, რაკი თავის ძლიერება სწამდა, ამაყათ მედიდურათ მიემგზავრებოდა ბარს ბედნიერების საიდუმლო გასაღებით ხელში.

— მერე გწამს, რომ შეასრულებ მოვალეობას და ბარელნიც კმაყოფილი დაგირჩებიან? — კითხა მოხუცმა ჭაბუკს. არა, გული ნუ დაგწყდება, განაგრძო მოხუცმა—გეტყვი, შენც ჩემისთანა ბედი მოგელის!

— როგორ, ბაბუ, ნუთუ შენც!?. გაოცებით შეეკითხა ჭაბუკი მოხუცს.

— დიახ, მეც... მეც ვიყავი, შვილო, მაგ მოვალეობისათვის მათთან გაგზავნილი... მეც აგრე იმედებით მიეშურებოდი—მწამდა ჩემი მოქმედების ძალა!—სთქვა დაღონებულათ მოხუცმა და შეჩერდა.

— მერე, მერე, ბაბუ, სთქვი—მოუთმენელათ სთხოვდა ჭაბუკი—მომიყევი შენს თავ-გადასავალს, სიამოვნებით დაგიგდებ ყურს.

— მძიმეა, შვილო, ჩემი თავ-გადასავალი,—უთხრა მოხუცმა,—მწარე ცრემლებით სავსე. და გეტყვი, რათა გამოგადგეს, გაგიადვილოს მძიმე ეკლიანი გზა. ოდესღაც შენებრ ახალგაზდა ვიყავი, შენებრ ლამაზი, მხნე და სიცოცხლით სავსე. მეც შენებრ მხვდა წილათ ბარში წასვლა... წაველი. თამამად, მხნეთ შევეგებე ჩემდამი ნდობას და იმედებით გამსჭვალულ ბარელებს. სანატრელი კავშირი დამყარდა ჩვენ შორის—ყველგან და ყველასთვის სასურველი სტუმარი ვიყავი. მეც მტკიცე რწმენით ვავრცელებდი მათში აზრებს, რომლის საშვალებით მათ ეხსნებოდათ გზა ბედნიერებისაკენ, უხსნიდი შრომის დიად მნიშვნელობას... მაგრამ ხალხი ზარმაცია! უჯაფურათ და შეუწუხებლათ უნდოდათ ხელთ ჩამებარებია ბედნიერების გასაღები. ის ვერ ვქენი და შემოგეირია უკმ

თანდათან გაიზარდა იგი. ჩემი დაღუპვაც კი მოიწადინეს. კრულვით, წყევლით მიმასპინძლდებოდენ, თვალის დასანახავათ ვეზიზღებოდი ყველას—დიდი და პატარაც კი მას გაიძახოდა—ნეტავ როდის გველირსება შენი თავიდან მოშორებაო.

— თავმობეზრებული, შერცხვენილი შეგინებული ვარჩიე მოვშორებოდი ხალხს. აქ ამ უდაბნოში, სადაც ბარის ხსენებაც არ არის, ავიგე ეს პატარა ქოხი და ვუცდი ჩემი სიცოცხლის უკანასკნელ დღეს. ვგრძნობ ისიც მოახლოვდა. მოახლოვდა უკანასკნელი წამები და ეს მოგონებაც მი[illegible] რომ მე აღარა მაქვს აღგილი ამ [illegible] დამილოცია შენთვის, ჭაბუკო, [illegible] წამი, რომელიც შენ მოგელის, ის ლოდება, სიხარული, მაგრამ ვერ დაგიფიცავ, დრო გაივლის, ჩემებრ შენც მათ გაუმაძღარ მოთხოვნილებას ვერ დააკმაყოფილებ და ჩემი ბედი მოგელის... მძიმეა შენი მოვალობა დასძინა მოხუცმა თავის აკანკალებული ხმით, იბრუნა გვერდი და განუტევა სული...

* * *

სამური ზამთრის დღე გათენდა ბარში. თოვლით შემოსილ მიდამოებზე მზეს უხვათ მოუფენია ოქროსფერი სხივები. საერთო დღესასწაულია. ბარელები დართულ-დაკაზმულნი ულოცავენ ახალ სტუმარს ერთმანეთს:

რა მშვენიერია!
რა ლამაზია!
საუცხოვოა!—

ეუბნება ერთი მეორეს.

[illegible] ჩვენი ბედნიერების—უმოწმებენ ერთმანეთს.

ჭაბუკი კი სიფთხილით, კრძალვით აღევნებს თვალს უმადურ ბარელებს...

— „მოვა დრო და შენც ჩემებრ კუდამოძუებულს გამოგისტუმრებენ—აგონდება მას მოხუცის ნაღვლიანი სიტყვები...

თეოდოსია ჯაფარიძისა.

სამშაბათელა.

ჩემო მკითხველო! მოგილოცავ ახალწელიწადს! ღმერთმა მისთანა ახალი წელიწადი ქნას შენთვის ეს, რომ... ჰო, კაი, ნუ გეშინია, არაფერს ვიტყვი მისთანას. მე კი კაცო, შენ წაკითხვის შეგეშინდა და მე დაწერის აღარ შემეშინდებოდა.

ვერ მასწავლი ჭკუას, ვიცი, რაც უნდა მოგილოცო, რაც უნდა გინატრო, ვიცი, რაც გინდა, რაც გენატრება და მე რაღათ შეგაწუხო—მოგცეს ის, რაც გინდა...

ძაან ბედი მეწვია წრეულს: შობაც სამშაბათს და ახალწელიწადიც. შარშან „კვირიკემ“ გამომიმწყვდია შუაში, შობაც კვირეს გაუთენდა და ახალწელიწადიც...

კვირიკეს რაც შობა და შვება მიეცა და რაც კაი მისცა ახალწელიწადმა, ამის ამბავი, მე რომ არ მოგახსენო, თქვენც უწყით, და რაც შობა და შვება და ახალწელიწადი მე მექნება, ამის ამბავი ჯერ წინაა...

დიახ, წრეულს მე გამოვიმწყვდიე-თქო, მოგახსენეთ. არა, გამომწყვდეული და გა... გა..., კაი [illegible] ვართ, მარა იხტიბარს არ ვიტეხთ და [illegible] ესეც კაია, როცა სიცოცხლის უნარის, სურვილის, მიდრეკილების, მიზიდულების, მიფორთხვილების მაინც წადილი კიდევა შეგრჩენია ამ გამო... გამოჭყეტილს და ბოგინობ, ხანდახან კიდეც აბროგინდები ვითამ, სანამდი არ მოგიბრაგუნებენ... მარა ეს მერე იყოს, და დღეს მინდა ჩაუშაირო ამ საახალწლოთ ამას, იმას, აქითური, იქითური, ვისაც მივწვდები, და ვისაც ვერ მივწვდე—ნუ დამემდურება. აბა, შევუდგეთ და ჩამოვილოცოთ.

პირველ ყოვლის

ქართველების ალმა ხნული
თვით ქართველმა დალმა ფარცხა...
მტერსა თავი მიანება,
და მოკეთე დაამარცხა...
თავის ნაპირნახულევი
თვითვე მიწას დაანარცხა,
არვინ გაჩნდა გონიერი,
მიაყვიროს—აცხა, აცხა!

ქართველ გლეხს.

ბატონყმობა რო მოისპო,
მას აქით ხანი დიდია,
მარა ყმის მძიმე ტვირთები
შენ ისევ ზურგსა გკიდია...
გვიან შეიგნეს მიწაზე
შენი ამბავი უფლების:
და გპირებენ მოცემას
უღლისგან თავისუფლების.
მიწას გამოგიყიდიან,
აგაცილებენ ყმობასა...
ვალს განაღდება სჭირია:—
არვინ გაგიწევს ძმობასა...
ვერ გახდე თავისუფალი,
თვარ შეიყიდე მიწები...
შენი უფლების ნატვრაში,
იცოდე, დაიმიწები.

თავად-აზნაურობას.

ამბობენ, მალე გექნება
დიდძალი ასიგნაცია!
თუ ჭკვიანათ მოიქცევი,
გექნება მელიორაცია...
[illegible] მცონარეობა,
დე მოხდეს პერტურბაცია,
რო მეზობლებმა ვერ გითხრას:—
რა უტვინოა ვრაცია!..

ჩვენს ქალებს.

გულს იმედი დამესახა,
როს ვიხილე ქალთა კრება,
და ვსთქვი—მათი დიდი ღვაწლი
მომავალშიც არ გაქრება..
ვნახე, ქალმა სასარგებლო
ბევრგან წრენი დააწესა...
მაგრამ ნაყოფს მეტს მომკიან,
თუ გაშლიან კაბის წრესა.
შორს ვერ წავლენ შებორკილი,
უნდა მოიხსნან ხუნდები...
ქალო, ვფიცავ, მებრალები,—
მაგ ბორკილში გახუნდები.

ვაჭრებს.

ვაჭარო! როცა ალაბი
გიჭირავს ხელსა,
ნუ ქაჩავ ფართალს!
ეს შენს სახელსა
ვერაფერს მართალს
ვერა შემატებს...
რათ აჩერჩეტებ,
ვითარცა ბატებს,
მითხარ მუშტარსა?...
ეგ საიქიოს გეწერება
ცოდვის უსტარსა.

ქუთაისს

კაი ხარ და სმაისო...
მითხრეს, გექნებ გაისსო:
ტრამვაი და წყალსადენი,
(ვიცი, გეყო [illegible] ამდენი)
ელექტრონიც, გაფენილი,
თუ სადმე დარჩენილი,
გაკეთდება მალე, მალე...
დღეს თუ არა, ხვალე, ხვალე...
კიდევ რა გინდა?.. ქუჩაი?
ამისი მოვა „სლუჩაი“!

ფოთს.

ვინ აყენებს შფოთს,
მითხარით, ამ ფოთს?!..
რას ერჩოდენ „ლონასს“?!..
რა ჭაობი ქონავს!..
რა ვუთხრა იმ ერს,
ვინც ირჩევს იმ „მერს“...

ჩვენს აქიმებს.

ეს რა ჭირი გადმეკიდე—
ტელეფონი დავიკიდე...
კაცი აღარ მეკარება,
და პრაქტიკა მეპარება.
მოვედი ახლა გონს...
ბოიკოტი ტელეფონს!..

ჩვენს გაზეთებს.

სოკოსავით იბადება
ჩვენში ჟურნალი, გაზეთი...
ნეტა რა ნახეს ამ საქმის,
რა მოგება და რა ზეთი?!
თუ არ იციან, ჩვენ გკითხონ,
მოგებაც ბოლოს ვისია:—
ხელის მომწერი ათასი,
ოცი-ათასი ნისია...
ორიოდ გროში რაც მოდის—
ჩვენი კი არა—სხვისია...
თუ რამე სთქვი... რამე [illegible],
უდიოდეს კაი სუნი,
იმით ვისმე, ანუ რასმე,
აწყენიე, დასდე წუნი,—
ყოველ მხრიდან გიყვირიან:—
ჭორი არის, ჭორი, ჭორი!..
შეკაზმული უნდა გყავდეს
ბედაური, მარჯვე ჯორი.
საპირადო საკინკლაოთ
ვინც გაზეთსა დაარსებს.
ადრე, მალე იმას ხალხი
სიმართლითა დააფასებს...
გაზეთს ფასი მაშინა აქვს,
როცა ერს ემსახურება,
როცა მისგან კარგათ თქმული,
სხვას ცუდათ არ ეყურება
და იმისი სალი აზრით
ყველა მადით ეპურება,
როცა არც დიდს, არც პატარას
ეარშიყ-ეკურკურება.

სამშაბათელა.

VITA NOVA.

სულიერი განწყობილება გამოწვეულია უცნობი მხატვრის სურათით: Her Heart.

ავათ იყო დიდხანს, მძიმეთ. ფილტვების ანთება ქონდა. აქიმებმა იმედი დასწმინდეს. ქმარს და დედ-მამას სასოება დაეკარგათ. ორი დღეა, რაც წამოდგა, მაგრამ ლოგინს არ შორდებოდა.

დღეს ადგა, მისალებ ოთახში გამოვიდა. როიალზე ისევ იდვა გახსნილი ნოტები. ყვავილები იდვა დიდი სარკის წინ. დაყნოსა. იმა. სარკეში ჩაიხედა, თეთრი თხელი ტანსაცმელი უხდებოდა [illegible] სახეს და ზეციური გამომეტყველებით სავსე თვალებს.

— ჭლექის უეჭველი ნიშნები მაქვს, მაგრამ ჯერ არაფერი უნდა მიჭირდეს... ქალი ჩაჯდა რბილ სავარძელში:—ნეტავი ვინმე შემოვიდოდეს ...დღევანდელ დღეს ყოველთვის სავსე იყო ჩვენი სახლი სტუმრებით ...ახლა სადღა არიან? ყველას დავავიწყდი, ზოგს მკვდარიც კი ვეგონები... მაგრამ ყველას არა—ბევრს, ბევრს მაინც ეახსოვარ... რატომ? მხოლოდ რამე ბოროტით!!. ბოროტით!..

დევ-გმირი, მაღალი, მხარ-ბეჭიანი, მდიდარი, აჩრდილივით რომ ყველგან და ყოველთვის გამიჩნდებოდა, როცა მისი ჩემთან ყოფნა საჭირო იყო ჩემთვის... გადამალია საცხოვრებელი და ერთხელაც არ მოუთხოვია რაიმე სამაგიერო; გაკოტრდა ჩემთვის და ღარიბთა თავშესაფარში, დარწმუნებული ვარ, კიდევ ჩემზე ოცნებობს...

მგოსანი, ყოველ სიტყვას, ჩემდამი მომართულს, ზღაპრული სიმშვენიერით რომ მოსავდა და დამათრობელი ხმით რომ ჩამჩურჩულებდა გულში, მე ვაქციე საეჭვო პიროვნებათ... პოეზიის ალმაფრენას ახლა ლოთობის ბურუსში ჰკლავს...

სუსტი, ნაზი, გულწრფელი და რიდით შემკული ახალგაზრდა [illegible] უჯვარო საფლავში გდია, ვით თავისმკვლელი... ვერ აიტანა სუფთა ადამიანმა ჩემის ბუნების ცვალებადობა...

დინჯი, ხანში შესული, წეს-რიგის და კანონიერების თაყვანისმცემელი, ვინ იფიქრებდა, რომ ჩემთვის დამნაშავე გახდებოდა და გამწარებული ცხოვრების მოსპობას სატუსაღოს კარებს ევედრებოდა...

ჩემი აბუჩათ აგდებული სახელი თვისი პატიოსნებით დაფარა ჩემთვის წინათ უცნობმა კაცმა, ჩემმა ქმარმა... ძვირათ დაუჯდა... აითვალწუნეს... მარტოთ მარტოა.. ყველას მაგიერ ვყავვარ ერთი მე...

მამ დავასევდიანე...

დედა სახლიდან არ გამოდის...

ყველამ უდიდესი საუნჯე სხვერპლათ მიძღნა...

ახლა მე ვით მსურს ვისიმე სხვ[illegible]ლი გავხდე...

... [illegible], გადავეხვიო, მადლობა [illegible], შევფიცო?..

ქალმა ზედ [illegible] ყვავილებს..

დედ-მამასთან წავიდე და [illegible] ვახარო, რომ ახალ ცხოვრებას ვიწყებ...

სატუსაღოში?.. რომ არ შემიშვან?!.

განკიცხულ საფლავს დავაყარო ყვავილები?..

ან ვნახო სადმე, ბინძურ სარდაფში მჯდომი მგოსანი, გავამხნევო... თუ ღარიბთა თავშესაფარში ხელები დავუკოცნო და გადავცე ჩემი თვალმარგალიტი?..

სად წავიდე, ვისთან?.. შემინდობენ?..

ყველასთან, ყველასთან... ნუ შემინდობენ...

მსურს თვით ვიყო სხვერპლი!..

ქალმა ამოიღო [illegible] თაიგული მიიკრა გულზე და საჩქაროთ გავიდა ოთახიდან.

აღარ ეტყობოდა სისუსტე, თითქო ავათაც არ ყოფილიყოს: განახლებულმა სულმა განკურნა სნეული.

ნ. ლორთქიფანიძე.

ახალი წელი.

შუბლმოღუშულია კავკასიის მთა...

მისი ყინულის მუზარადს გარს [illegible] რიალებს ჰაერში ზღაზნით მოსრია[illegible] შავი ღრუბლები და სიდიადეს მისას [illegible]... თენდება.

ალიონი [illegible]ის ნემსებით უკუნეთს და ვერცხლის ფერის ლაპ[illegible] მოსჭვივის აქა-იქ გაცრეცილი ღრუბლებიდან.

ცა ლაჟვარდი დედამიწას თვალად [illegible] დადგა... ძირს, ბარიდან მოისმის [illegible] ზარბაზნების გრიალი. თოფის წამ[illegible] კვამლი ღრუბელთ შავ ლეგიონს შე[illegible] თვის...

მთის მკერდზე მიჯაჭ[illegible] თავი აიღო და გა[illegible] ტერდა...

— რა ამბა[illegible]

წარმ[illegible] ტორტმანით [illegible] ფეს.

— ახალი წე[illegible] ცემა.

მოკლეთ მოუკრა გმირს არ[illegible] მძლავრი ფრთების დინჯი რხევით ბელში გაეხვია.

— ჰმ!.. ნეტა რას ქეიფობენ, და[illegible] კი „ახალი წელი“?!—

მწარე ღიმილით წარმოსთქვა გმირ[illegible]

შეიძრა მთის ხუზარმაზარი მკერდი. [illegible] ნულის მუზარადი რამდენსამე ად[illegible] დასკდა... ამირანი კვლავ მიჯაჭ[illegible] სალი კლდის მკერდზე..

[illegible]ლას ახალ წელიწადს!

ხვამლ[illegible]

რედაქტორ-გამომცემელი
ა. მ. ჟელაძე

მიიღება ხელისმოწერა 1913 წლისათვის ყოველდღიურ გაზეთზე.

წელიწადი მეორე
1913

იმერეთი

წელიწადი მეორე
1913

გაზეთის ფასი:
ერთი წლით . . 7 მანეთი,
ნახევარი წლით . . 4 მანეთი,
ერთი თვით . . 3 აბაზი
და ცალკე ნომრის . . 1 შაური.

წლიურ ხელისმომწერლებს შეუძლიათ გაზეთის ფასი ამნაირათ გადაიხადონ: ხელისმოწერის დროს სამი მანეთი, პირველ მაისს ორი მანეთი და პირველ ივნისთვისაც ორი მანეთი.

მოსწავლეებს, სათვისტომოებსა და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზეთი წლიურათ ეთმობათ ოთხ მანეთად, ხოლო ნოქრებსა და სოფლის მასწავლებლებს—ხუთ მანეთად. თვიურათ გაზეთი ამავე პირთათვის ღირს სამ აბაზათ. მისამართის გამოცვლა ღირს ათ შაურათ. მისამართის გამოცვლის დროს უნდა ნაჩვენები იყოს სრულათ ის მისამართი, რომლითაც ღებულობდა გაზეთს და აგრეთვე სწორათ ახალი მისამართიც; სხვანაირათ მისამართის გამოცვლა არ შეიძლება.

საზღვარგარეთ გაზეთი წლიურათ ღირს 14 მანეთად, ნახევარი წლით 8 მან. და თვიურათ 6 აბაზათ.

სამგლოვიარო განცხადების თითო დაბეჭდვა ყველასათვის—სამ მანეთად.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის ანგარიშით პწკარი ღირს 3 შაურათ, მეოთხეზე—ორ შაურათ, შიგნით გვერდზე მორიგებით და გარეშე ცნობები ჩვეულებრივი ასოებით დაბეჭდილი თითო პწკარი თითო აბაზათ. შრომის მაძებართა განცხადება—ნახევარ ფასათ.

ჩამოთვლილი პირობებით გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგ ადგილებში:

ქუთაისში—გაზ. იმერეთის კანტორაში, ივანოვის ქ., ჭილაძის სახლი; ჟურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთში“—ისიდორე კვაჭარიძესთან, ქალაქის ბაღის პირდაპირ; მაროსი ხვინგიასთან, საბაკალეინო სავაჭროში (ლულაძის მიდორზე) და თეთრი ხიდის თავში, მოვაჭრე ალიხანოვთან; ბაქოში—გრიგოლ ნიჟარაძესთან; ჭიათურაში—შილაკაძესთან, ფოთში—სიმონ ორაგველიძესთან, სამტრედიაში—ვ. ახობაძესთან, ზესტაფონში—ი. კაკაბაძესთან, ოზურგეთში—მოსე თალაკვაძესთან, სოხუმში—ნ. ჯანაშიასთან, ბათომში—გ. მახარაძესთან, ხაშურში—იოსებ ყაჭეიშვილთან, ხონში—წერა-კითხვის გ. ს. სევერიანე კაკაბაძესთან; ლანჩხუთში—ვ. კალანდაძესთან; სენაკში—ვ. კალანდაძესთან; აბაშაში—პლ. ლეჟავასთან; ჩოხატაურში—ს. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში, ზუგდიდში—ნიკო ბერიძესთან და თფილისში—ჟურნალ-გაზეთების ბიუროსთან.

გაზეთის დასაკვეთი ფასი და აგრეთვე სხვა ანგარიშებიც უსათუოთ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს: Кутаисъ, редакція и контора газеты „ИМЕРЕТИ“, Антону Михайловичу Желадзе. სხვანაირათ გამოგზავნილ ფულზე და ანგარიშებს რედაქცია თავის დროზე ვერ მიიღებს.

ელექტრო-საბეჭდავი შერაძისა და ძარნაძისა, ქუთაისში.